ტყიბულის მუნიციპალიტეტი

პირობებიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №

.. მარტი 2023 წ. ქ. ტყიბული

(რიცხვი, თვე, წელი)

ეს ოქმი გაიცა ფიზიკური პირი, ... (პ/ნ XXXXXXXXXXX) მცხოვრები ქ. ....., ... მოედანი №.. -ში, T – XXX XX XX XX

(აუქციონში გამარჯვებული (ქონების შემძენი) ფიზიკური პირის სახელი, გვარი / იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი და მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მისამართი და საიდენთიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ XXXXXXX არსებული XXXX კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების თავისუფალი მიწის ნაკვეთი (ს/კ 39.0X.XX.XXX)

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები საჯარო რეესტრიდან)

ქონების საწყისი ფასი XXXXXX ლარი (XXXXXXXXXXXX ლარი)

(ციფრებით) (სიტყვიერად)

პრივატიზების მიზნით ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წლის XX მარტიდან XX მარტამდე მოწყობილ ელექტრონულ აუქციონზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის

XXXXX ლარი (XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX ლარი)

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში - ქონების შემძენი) და მას საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, *ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში ტერიტორიის მოწესრიგების პირობით,* საკუთრებაში გადაეცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ XXXXXXXX არსებული XXXX კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების თავისუფალი მიწის ნაკვეთი (ს/კ 39.0X.XX.XXX)

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები საჯარო რეესტრიდან/ მათ შორის ინფორმაცია ქონების დატვირთვის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. ქონების შემძენის ვალდებულება - აუქციონზე შეძენილი ქონების საფასურის (სრული ღირებულების თანხის გადახდა უნდა მოხდეს ოქმის შედგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე - სახელმწიფო ხაზინა *300273390*).
2. ქონების შემძენს გადახდილი „ბე“ ეთვლება ანგარიშსწორებისას.
3. ქონების შემძენს უფლება არა აქვს საკუთრების დადასტურებამდე განკარგოს, დააგირაოს, იპოთეკით ან/და სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება.
4. თუ ქონების შემძენი დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ქონების ღირებულების სრულ თანხას, აუქციონის შედეგები უქმდება და ქონების შემძენს არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე, ასევე შეტანილი „ბე“ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება.
5. ქონების შემძენის მიერ, ღირებულების სრული თანხის დადგენილ ვადაში გადახდის შემდეგ მასთან ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.
6. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენზე, თანხის სრულად გადახდისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მასზე გადადის პირობადადებული საკუთრების უფლება, რაც რეგისტრირდება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.

7. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში პირობის სრულად შესრულების შემდეგ, ქონების შემძენზე გადადის საკუთრების უფლება და მასზე გაიცემა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.
8. ოქმიდან წარმოქმნილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9. ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. 1 (ერთი) რჩება აუქციონატორს, ხოლო 2 (ორი) გადაეცემა ქონების შემძენს.
10. ქონების შემძენი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს ამ ოქმს.
11. ოქმს, რომელიც აუქციონატორთან რჩება, თან ერთვის:
    ა) იმ შემთხვევაში თუ ქონების შემძენი იურიდიული პირია - ქონების შემძენის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება.
    ბ) იმ შემთხვევაში, თუ ქონების შემძენი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით - წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი (ს/კ 219636259)
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი:

---------- დავით ჩერქეზიშვილი
(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

ბ.ა.

აუქციონში გამარჯვებული პირი (ქონების შემძენი):

---------- XXXXXXXX XXXXXXXXXXXX (პ/ნ XXXXXXXXXXX)
(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

ბ.ა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №

XX XXXX 2023 წელი **ქ. ტყიბული**

(რიცხვი. თვე, წელი)

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

ტყიბულის მუნიციპალიტეტი (ს/კ 219636259), წარმოდგენილი ტყიბულის მუნიციპალიეტის მერის დავით ჩერქეზიშვილის სახით (შემდგომში ქონების „გამყიდველი“) ერთის მხრივ და ფიზიკური პირი XXXXX XXXXXXXX (პ/ნ XXXXXXXXXXX) მცხოვრები ქ. XXXXXXX, XXXXXXXX №X - ში, T – XXX XX XX XX (შემდგომში ქონების „მყიდველი“) მეორეს მხრივ, ვდებთ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“), რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები ხელშეკრულების საგნის მიმართ.

მუხლი 2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

ამ ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge XX.XX.2023 წ. 12:00 სთ-დან – XX.XX.2023 წ. 17:00 სთ-მდე ლოტის ნომერი xxxxxx ჩატარებული ელექტრონული აუქციონის შედეგები და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №X (XX XXXXX 2023 წელი).

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge XX.XX.2023 წ. 12:00 სთ-დან – XX.XX.2023 წ. 17:00 სთ-მდე ლოტის ნომერი xxxxxx ჩატარებული ელექტრონული აუქციონის შედეგები და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №X (XX XXXXX 2023 წელი) საფუძველზე „გამყიდველი” გადასცემს, ხოლო „მყიდველი” იღებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, კერძოდ: ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ XXXXXX არსებულ XXX კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების თავისუფალი მიწის ნაკვეთს (ს/კ 39.0X.XX.XXX)

მუხლი 4. მყიდველი ვალდებულია შეასრულოს აუქციონის პირობები

1. აუქციონზე შეძენილი ქონების ფასი XXXXX.00ლარი /XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX/ ლარი
(ციფრებით) (სიტყვიერად)

გადახდილია: საგადახდო დავალება NXXX XX X XXXX XXXX X XXX წ.

2. ვალდებულებები:

ა. მყიდველი ვალდებულია შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, აუქციონის პირობები, კერძოდ - *ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში ტერიტორიის მოწესრიგება,* მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამყიდველის მოთხოვნისთანავე წარადგინოს ინფორმაცია;

ა.ბ *შენობის დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია წარმოადგინოს დემონტაჟის პროექტი.*

ბ. მყიდველს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე და საკუთრების მოწმობის გაცემამდე ქონების შემძენზე გადადის პირობადადებული საკუთრების უფლება.

გ. ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების შემდეგ და მასზე გაიცემა საკუთრების მოწმობა აუქციონში გამარჯვებულის მოთხოვნისთანავე;
დ. ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით სააუქციონო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:
დ.ა. მყიდველის მიერ ოქმის სხვა პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს ყოველ დარღვევაზე ქონების ღირებულების 0,05%-ს;
ე. ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა, ასევე დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძვლად და ქონება დაბრუნდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში;
ვ. შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული ღირებულების დაფარვისა და ხელშეკრულების (აუქციონის) პირობების შესრულების შემდეგ.
ზ. მყიდველს გადახდილი „ბე“, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;
თ. ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა თანხის სრულად გადახდისა და ხელშეკრულების (აუქციონის) პირობების შესრულების შემდეგ;
ი. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
კ. ნასყიდობის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემლარად. ორი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს;
ლ. მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას;
მ. ხელშეკრულებას, რომელიც რჩება გამყიდველთან, თან ერთვის:
მ.ა. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი იურიდიული პირია - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკოერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;
მ.ბ. იმ შემთხვევაში თუ მყიდველი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით - წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გამყიდველი

ტყიბულის მუნიციპალიტეტი (ს/კ 219636259)
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია:

_____ /დავით ჩერქეზიშვილი/
(ხელმოწერა)

ბ.ა

მყიდველი

აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი: /XXXXXXX XXXXXXXX/

პ/ნ XXXXXXXXXXX

_____
(ხელმოწერა)